



სს „მეგობრების მარანთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
ყვარლის მუნიციპალიტეტში

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

მეორე რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის
განვითარების პროექტი (SRMIDP)

დეკემბერი, 2018

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში, საქართველო. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია გზის რეაბილიტაცია, სს „მეგობრების მარნის“ გარე განათების მოწყობასთან ერთად. 1355 მეტრი სიგრძის სარეაბილიტაციო გზა გადის კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების და ტყის ტერიტორიის სიახლოვეს, თუმცა აღნიშნული ტერიტორიების გადაფარვა არ ხდება, რის გამოც სამუშაოები განხორციელდება გასხვისების ზოლის საზღვრებში.

არსებული გზა საფარის გარეშეა და სავალალო მდგომარეობაშია. შესაბამისად, გადაადგილება სირთულეს წარმოადგენს როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე სასტუმროს ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის. ქვე-პროექტის ტექნიკური პროექტის თანახმად, გზა დაიფარება ხრემის საფარით. სავალი ნაწილის სიგანე შეადგენს 6.5 მ-ს.

ქვე-პროექტით ასევე გათვალისწინებულია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტირებული გზის გასწვრივ. დაერთების სამუშაოები ქვე-პროექტით გათვალისწინებული არ არის, რადგან აღნიშნულ სამუშაოებს განახორციელებს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“.

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

<p>ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მოსალოდნელი მოკრძალებული და მოკლე-ვადიანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, მაშინ როდესაც გრძელ-ვადიანი ზემოქმედება იქნება დადებითი, რამდენადაც გაუმჯობესდება გადაადგილების პირობები და შემცირდება ისეთი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, როგორც არის მტვერი, ემისიები, ვიბრაცია და მანქანების მოძრაობით გამოწვეული ხმაური.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მოსალოდნელი ნეიტრალური გრძელ-ვადიანი ზემოქმედება გარემოზე, მაშინ როდესაც მოკლე-ვადიანი ზემოქმედება შეფასებულია მინიმალურად და ტიპურად, რაც დამახასიათებელია ურბანულ გარემოში მცირე და საშუალო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და ემისიები მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და ექსპლუატაციის შედეგად; სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, სატრანსპორტო მოძრაობის და საფეხმავლო მისასვლელის შეზღუდვა.</p>

<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ახალი ფართობის დაკავებას და განსახლებას.</p> <p>გრძელ-ვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი. რეაბილიტირებული გზა გააუმჯობესებს კერძო საკუთრებასთან მისვლას მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებისათვის.</p> <p>ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება განაპირობებს შემდეგი სახის ზრდას:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვე-პროექტის განხორციელებამ შესაძლოა გაზარდოს დროებითი დასაქმების შესაძლებლობები ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის, რადგან კონტრაქტორები უპირატესობას ანიჭებენ ადგილობრივების დაქირავებას; • ქვე-პროექტის განხორციელება (გაზრდის) აღდგენილი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის/შეკეთების საჭიროებას (გრძელ-ვადიანი შემოსავლის შექმნა); • ტურისტულ საწარმოებში (პროექტის მნიშვნელობის შესაბამისად - ტურისტული ზრდის თავლსაზრისით, ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა განახორციელოს გარკვეული ქმედებები ტურისტების მოსაზიდად - სხვადასხვა საქმიანობის შეთავაზების გზით). <p>უარყოფითი ზემოქმედება მოკლე-ვადიანია და შეზღუდულია სამშენებლო მოედნის საზღვრებით. აღნიშნული ზემოქმედება დაკავშირებულია ზემოთ წარმოდგენილ შესაძლო შეწუხებასთან.</p>
<p>რა ზემოქმედება ექნება ქვე-პროექტს ადამიანის ჯანმრთელობაზე?</p>	<p>რეაბილიტირებული გზის ბენეფიციარები იქნებიან მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლები, რადგან ისინი მარტივად მივლენ საკუთარ საკუთრებასთან, გაუმჯობესებული გზის საშუალებით. გზის რეაბილიტაცია ასევე გამოიწვევს მტვრის წარმოქმნის შემცირებას, რაც სასარგებლო იქნება როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ვიზიტორებისათვის.</p> <p>გარე განათების სისტემა ასევე უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივების, ასევე ტურისტების უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობას.</p> <p>რეაბილიტირებული გზა და გარე განათება ასევე გაზრდის ვიზიტორების ნაკადს სასტუმროში, რაც უზრუნველყოფს ირიბ ეკონომიკურ სარგებელს ადგილობრივებისთვის.</p>

	<p>უმნიშვნელო ზემოქმედება სამშენებლო პერიოდში დაკავშირებულია მტვერთან, ემისიებთან, ხმაურთან და ვიბრაციასთან, თუმცა ზემოქმედება მოკლე-ვადიანია და შეზღუდულია სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებით.</p>
--	---

ბ. შემამსუბუქებელი ზომები

<p>რა ალტერნატივები იყო გათვალისწინებული ქვე-პროექტის პროექტირებისთვის და რა შემარბილებელი ღონისძიებები იყო შემოთავაზებული?</p>	<p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. სხვა ალტერნატივების გათვალისწინება არ მომხდარა.</p> <p>სამშენებლო ფაზის მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შერბილება შესაძლოა განხორციელდეს მარტივად - სამშენებლო მოედნის შემოფარგვლით, სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების კარგი მოვლა-პატრონობით, დამტკიცებული სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გადაყრით - ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილებში.</p> <p>მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მუშის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება პირადი დაცვის აღჭურვილობის, პირველადი დახმარების კომპლექტის, ხანძარ-საწინააღმდეგო ინსტრუმენტების და სხვ. უზრუნველყოფით. მუშების პირადი დაცვის აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იყოს კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (მუდმივად - ჩაფხუტების გამოყენება, საჭიროების შესაბამისად - ნიღბები და დამცავი სათვალეები, დამცავი ღვედები და სპეც. ფეხსაცმელები); საპროექტო ტერიტორიების შესაბამისი ნიშნებით აღჭურვა უზრუნველყოფს</p>
---	---

	<p>მუშების ინფორმირებას ძირითადი და დასაცავი წესებისა და რეგულაციების შესახებ.</p> <p>ყველა დაინტერესებულ მხარეს სამუშაოების დაწყების შესახებ კონტრაქტორი აცნობებს წინასწარ. ამასთან, მოსავალზე, ან სხვა აქტივებზე მიყენებული ზარალის კომპენსაციას დაფარავს კონტრაქტორი.</p>
<p>წინა პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილების გაერთიანება მოხდა ქვე-პროექტის დაპროექტებისას?</p>	<p>მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებული საშუალო და მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებისას მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვე-პროექტის ტექნიკური პროექტი მოიცავს არა მხოლოდ ქუჩების საფარის რეაბილიტაციას, არამედ, ასევე, გარე განათების რეაბილიტაციას და გზის კეთილმოწყობას, რაც უზრუნველყოფს სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას.</p>
<p>ქვე-პროექტის მომზადებისას იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები და იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ გათვალისწინებული?</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის, მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ინფორმირებული არიან დაგეგმილი ქვე-პროექტის შესახებ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ. ასევე მათ მიეწოდათ ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ისე მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რათა ქვე-პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემის/საჩივრის/უკმაყოფილების შემთხვევაში მოხდეს მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და მოჰყვეს შესაბამისად რეაგირება.</p>

(D) კატეგორიებად დაყოფა და დასკვნა

სკრინინგის შედეგების საფუძველზე,

- ქვე-პროექტი განეკუთვნება შემდეგ კატეგორიას A
- B
- C

გარემოს დაცვითი სკრინინგის დასკვნის საფუძველზე:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია
2. ქვე-პროექტი მიღებულია

დამტკიცების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვე-პროექტის მომზადებისთვის საჭიროა:

1. გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო სიის დასრულება მცირე მასშტაბის სამშენებლო და
სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის
2. გარემოს დაცვითი შეფასება, გარემოს დაცვითი მართვის გეგმის მომზადების გათვალისწინებით

უფლებამოსილი ქვე-პროექტების რისკების შეფასება

ბუნებრივი და სოციალური გარემოს სენსიტიური რეცეპტორები, ქვე-პროექტის ტერიტორიის გარშემო	დიახ / არა?	მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედება / მაღალი რისკი (შემოწმება)	მოსალოდნელი დაბალი ზემოქმედება/ დაბალი რისკი (შემოწმება)
ბუნებრივი ჰაბიტატები, სუსტი ეკოსისტემები	არა	ტყეები; ჭარბტენიანი ადგილები, ბუდობის/გამრავლების ადგილები, დასასვენებელი მონაკვეთები მიგრანტი ფრინველებისთვის, ველური ბუნების მქონე დერეფნები, დაკავშირებულები დაცულ ტერიტორიებთან, ციცაბო ქანობები, ალპური და სუბ-ალპური ზონა, მწვანე ზონები	მნიშვნელოვნად შეცვლილი ურბანული, ან სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტები, საწარმოო ტერიტორიები, ე.წ. ბრაუნფილდები (საწარმოო, ან კომერციული მოედნები, რომელთა გამოყენება არ ხდება გარემოს შესაძლო დაბინძურების გამო)
		✓	✓
ზედაპირული წყლის ობიექტები	არა	ძირითადი მდინარეები და მდინარის ჭალები, ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტები და მათი შენაკადები, ტბები; მცირე წყლის ობიექტები - მაღალი ღირებულებით ადგილობრივი თემებისა და ბიო-მრავალფეროვნების თვალსაზრისით	მცირე მდინარეები და ნაკადულები, ხელოვნური რეზერვუარები და გუბეები, რომელთაც არ გააჩნიათ მაღალი ღირებულება ადგილობრივი თემებისთვის, ან ბიო-მრავალფეროვნების თვალსაზრისით
		ა/ე	ა/ე
მიწისქვეშა წყლების წყარო	არა	რეგიონული/ნაციონალური მნიშვნელობის დეპოზიტები, მინერალური და/ან თერმული წყლის წყაროები, მიწისქვეშა წყლების მაღალი დონე	მიწისქვეშა წყლების რეგულარული დონე
		ა/ე	ა/ე
მნიშვნელოვანი ლანდშაფტები	არა	დაცული ლანდშაფტები, მნიშვნელოვანი ესთეტიკური ღირებულების	მნიშვნელოვნად შეცვლილი ურბანული, ან სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტები, საწარმოო

		მქონე ლანდშაფტები, მწვანე ზონები, სარეკრეაციო ზონები	ტერიტორიები, ე.წ. ბრაუნფილდები
		ა/ე	ა/ე
ფიზიკური კულტურული რესურსები	არა	კულტურული ძეგლების ინდივიდუალური, ან ზოგადი დაცვის ზონები, ისტორიული, ან ტრადიციული ადგილები (რელიგიური, დამკრძალავი ხასიათის, რიტუალური)	კულტურული რესურსების არ არსებობა
		ა/ე	ა/ე
დასახლებები	არა	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 20-ზე მეტი ოჯახი; საჭიროა ფიზიკური რელოკაცია (გადაადგილება)	ზემოქმედების ქვეშ მყოფი 20-ზე ნაკლები ოჯახი, ფიზიკური რელოკაციის საჭიროების გარეშე, მიწის დაკავების საჭიროების გარეშე
		ა/ე	ა/ე
გეოლოგიური რისკები:	არა	აღრიცხული	აღრიცხვის გარეშე
		ა/ე	ა/ე
<p>იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, ქვე-პროექტი არის მაღალი რისკის შემცველი, ის ჩაითვლება მაღალი რისკის მქონე ქვე-პროექტად. საჭირო იქნება გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელება და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შემუშავება.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, ქვე-პროექტი არ არის მაღალი რისკის შემცველი, ის ჩაითვლება დაბალი რისკის მქონე ქვე-პროექტად და საჭირო იქნება გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ნუსხის დასრულება - მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.</p>			

სოციალური სკრინინგი

informacia socialuri usafTxoebis zomebis skringis Sesaxeb		დიახ	არა
1	informacia qveproeqtebis obieqtebis mflobelobis da kuTvnilobis statusis Sesaxeb aris xelmisawvdomi da sarwmuno? (skringi ver dasruldeba zemoxsenebulis mopovebamde)	✓	
2	SezRudavs Tu ara proeqti xalxisaTvis maTi ekonomikuri resursebis xelmisawvdomobas, rogoricaa miwa, saZovrebi, wylis resursebi, komunaluri samsaxurebi an sxva resursebi, romelzec isini damokidebulni arian?		✓
3	proeqtis Sedegad mosalodnelia Tu ara individebis an ojaxebis gansaxleba, an arsebobs Tu ara miwis Sesyidvis saWiroeba (saxelmwifo an kerZo, droebiT an mudmivad) mSeneblobisaTvis?		✓
4	mohyveba Tu ara proeqts Sedegad mosavlis, xexilis da sameurneo infrastruqturis (rogoricaa beRlebi, ezos tualetebi da samzareuloebi) droebiTi an mudmivi dakargva?		✓
Tuki zemoxsenebul romelime kiTxvaze (garda SekiTxvisa 1) pasuxi aris "diax", maSin gamoyenebuli unda iqnas OP/BP 4.12 iZulebiTi gansaxleba da Semamsubuqebeli zomebi unda ganxorcieldes am OP/BP 4.12 da gansaxlebis politikis CarCo dokumentis Sesabamisad			
	კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგის ინფორმაცია	დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოების (ექსკავაციის) განხორციელებას რომელიმე ისტორიული, არქეოლოგიური, ან კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიის სიახლოვეს?		✓
იმ შემთხვევაში, თუ პასუხი მე-5 კითხვაზე არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შესაძლო შემთხვევითი აღმოჩენების განკარგვა უნდა მოხდეს OP/BP-ის და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.			

ნაწილი B: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები				
ქვეყანა	საქართველო			
პროექტის და დასახელება	სს „მეგობრების მარანთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ყვარლის მუნიციპალიტეტი			
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში, საქართველო. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია გზის რეაბილიტაცია, სს „მეგობრების მარანის“ გარე განათების მოწყობასთან ერთად. 1355 მეტრი სიგრძის სარეაბილიტაციო გზა გადის კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების და ტყის ტერიტორიის სიახლოვეს, თუმცა აღნიშნული ტერიტორიების გადაფარვას არ აქვს ადგილი, რის გამოც სამუშაოები განხორციელდება გასხვების ზოლის საზღვრებში.</p> <p>არსებული გზა საფარის გარეშეა და სავალალო მდგომარეობაშია. შესაბამისად, გადაადგილება სირთულეს წარმოადგენს როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე სასტუმროს ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის. ქვე-პროექტის ტექნიკური პროექტის თანახმად, გზა დაიფარება ხრემის საფარით. სავალი ნაწილის სიგანე შეადგენს 6.5 მ-ს.</p> <p>ქვე-პროექტით ასევე გათვალისწინებულია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტირებული გზის გასწვრივ. დაერთების სამუშაოები ქვე-პროექტით გათვალისწინებული არ არის, რადგან აღნიშნულ სამუშაოებს განახორციელებს სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“.</p>			
ინსტიტუციონალური ორგანიზება (სახელები და საკონტაქტო პირები)	მსოფლიო ბანკი (საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი) ჯოანა მქლინ მეიზიქი	პროექტის მართვა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზედამხედველობა მგვ ქეთევან პაპაშვილი	ადგილობრივი მხარე და/ან მიმღები მცხეთის მუნიციპალიტეტი
განხორციელების ორგანიზება (სახელები და საკონტაქტო პირები)	გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზედამხედველობა მსოფლიო ბანკი დარეჯან კაპანაძე, გარემოს დაცვა სოფია გეორგიევა, სოციალური	ადგილობრივი მხარე ზედამხედველობა ეპტისა	ადგილობრივი შემოწმება ზედამხედველობა	კონტრაქტორი (შეირჩევა გზის სამუშაოებისთვის)
ადგილმდებარეობის აღწერა				
ტერიტორიის დასახელება	სოფელი შილდა			

საპროექტო ტერიტორიის აღწერა	ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს სოფელ შილდაში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, კახეთის რეგიონი, აღმოსავლეთ საქართველო.
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი?	სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა.
გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და სოციო-ეკონომიკური კონტექსტის აღწერა	<p>სოფელი შილდა მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 500 მეტრის სიმაღლეზე და ყვარლიდან 20 კილომეტრში - მდინარე ჭელთას (ალაზნის მარცხენა შენაკადი) ნაპირზე. სიმაღლე ზღვის დონიდან: 500 მეტრი, მანძილი ყვარლიდან: 20 კმ.</p> <p>2014 წლის აღწერის თანახმად, სოფელში ცხოვრობს 3 927 ადამიანი.</p> <p>ქვე-პროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთი იწყება ნეკრესის მონასტერთან მისასვლელ გზასთან, გაივლის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (სახნავ-სათესი მიწების) და ტყის ტერიტორიის სიახლოვეს და სრულდება „მეგობრების მარანთან“.</p>
მასალების, მათ შორის შემავსებლის, წყლის, ქვების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან	<p>ადგილობრივი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საშუალო მანძილი შეადგენს დაახლოებით 10 კმ-ს.</p> <p>სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო წყლის უზრუნველყოფა მოხდება წყლის ავზების საშუალებით, სასმელი წყლის მიწოდება კი მოხდება პლასტმასის ბოთლებით.</p> <p>გათვალისწინებულია ამოღებული მასალის გარკვეული ნაწილის უკუ-ჩაყრა, დამატებითი მასალის უზრუნველყოფა მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან - დაახლოებითი მანძილი - 5-10 კმ.</p> <p>სამშენებლო ნარჩენების გადაყრა მოხდება ყვარლის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე - მანძილი 11 კმ.</p>
კანონმდებლობა	

<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც „ბ“ კატეგორიის პროექტი. ქვე-პროექტი დამტკიცებულია ყვარლის მუნიციპალური ხელისუფლების მიერ.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოს დაცვით შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) სამშენებლო მასალების შექმნა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორს სურს კარიერების გახსნა, ან მასალის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან (აღნიშნული მასალების სხვა მომწოდებლებისგან შექმნის ნაცვლად), კონტრაქტორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ლიცენზია; (iii) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორს სურს საკუთარი ასფალტის, ან ბეტონის ქარხნის ამუშავება (მასალების სხვა მომწოდებლებისგან შექმნის ნაცვლად), კონტრაქტორმა უნდა მიიღოს გარემოს დაცვითი ნებართვა, სადაც განსაზღვრული იქნება ემისიებში დამაბინძურებელი კონცენტრანტების მაქსიმალური ზღვარი; (iv) სამშენებლო ნარჩენების გადაყრა უნდა მოხდეს ნაგავსაყრელზე, მიწის სამუშაოების წარმოების დროს წარმოებული ინერტული მასალები უნდა განთავსდეს შერჩეულ ადგილას, რაც წერილობით უნდა იქნას დამტკიცებული ადგილობრივი (მუნიციპალური) ხელისუფლების მიერ. <p>აუცილებელია GOST და SNIP ნორმების დაცვა.</p>
--	--

საჩივრების განხილვის მექანიზმი

საჭიროებისამებრ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნა სათანადო მექანიზმი. ყვარლის მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ საჩივრების მიღებაზე, განხილვასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი იქნება მარიამ შეყელაძე - ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი, ტელ: 555575787, ხოლო მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირი - ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19, feedback@mdf.org.ge , მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

თუ საჩივრით დასმული საკითხი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, ის შემდგომი რეაგირების მიზნით გაიგზავნება მგფ-ში. მგფ არეგისტრირებს ყველა შემოსულ საჩივარს, შესაბამის კომენტარებს და

გადაჭრის გზებს. საჯარო კონსულტაციების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნა საჩივრების განხილვის საკითხებზე და საკონტაქტო პირების შესახებ.

დანართები

დანართი 1: სარეაბილიტაციო გზის არსებული მდგომარეობა
დანართი 2: სარეაბილიტაციო გზის ორთო-ფოტო

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ჩამდინარე წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შექმნა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი D: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> (a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებულია ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველსაყოფად; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და სპეც. (დამცავი) ფეხსაცმელები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულაციები განთავსებული უნდა იყოს შესაბამის მაჩვენებლებზე - სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> (a) ინტერიერის ნგრევის პროცესში, ნაგავსატარის გამოყენება უნდა მოხდეს პირველი სართულის ზემოთ; (b) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით, მტვრის შესამცირებლად; (c) პნევმატური ბურღით/კედლის ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იყოს წყლით დანამგით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (d) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე (ტროტუარებზე, გზებზე), მტვრის მინიმუმაციის მიზნით; (e) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნაგვის/ნარჩენების დაწვა; (f) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ზედმეტად და უსაქმოდ არ უნდა ჩერდებოდნენ საპროექტო ტერიტორიებზე;
	ხმაური	<ul style="list-style-type: none"> (a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს ნებართვით შეთანხმებული დროის მონაკვეთებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან;
	წყლის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> (a) საპროექტო ტერიტორიაზე უნდა გატარდეს ეროზიისა და სედიმენტების (ნატანის) კონტროლის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან ლამის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტებში.

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
	ნარჩენების მართვა	<p>(a) ნგრევისგან და სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ნარჩენების შეგროვების და გადაყრის ადგილები;</p> <p>(b) მშენებლობის და ნგრევის შედეგად წარმოქმნილი მინერალური ნარჩენების განცალკევება უნდა მოხდეს ზოგადი სახის, ორგანული, ლიკვიდური და ქიმიური ნარჩენებისგან - საპროექტო ტერიტორიაზე გადარჩევის გზით და შენახვით - შესაბამის კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენების შეგროვება და გადაყრა მოხდება შესაბამისი ლიცენზირების მქონე კოლექტორების მიერ;</p> <p>(d) უნდა მოხდეს დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა, ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	<p>ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად იყოს დაცული და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება იყოს რეგულირებული. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იყოს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. მოსახლეობა გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ - საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხო და მოსახერხებელი გადაადგილების მიზნით; ▪ აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და უწყვეტი მისვლის უზრუნველყოფა.

ნაწილი E: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკურის მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განსაზღვრული დროისა და მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუ-ჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება სამინისტროს წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	<p>სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის</p>	ინერტული მასალის კარიერები	დოკუმენტების ა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმუმაცია;</p> <p>მდინარის ნაპირების</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>				ეროზიის, შეწონილი ნაწილებით წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.</p>	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიმოსვლის შეზღუდვა	სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.				ადგილობრივი მაცხოვრებლების სიმშვიდის დარღვევის შეზღუდვა;	
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების და ინციდენტების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინფორმაციის გაზიარება და საჩივრების მოგვარება	<p>ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით სამშენებლო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელების) ინფორმირება სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ.</p> <p>საჩივრების მოგვარებასთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოცხადება; საჩივრების ჟურნალის წარმოება.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია და/ან მიმდებარე დასახლება და შენობები</p> <p>სამშენებლო ტერიტორია მეზობლად არსებული დასახლება და შენობები</p>	<p>პირადად, ელ. ფოსტით, ტელეფონით, ან სხვა საშუალებებით (ჩანაწერებით)</p> <p>საჩივრების მოგვარების მექანიზმის შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შესაბამის (ხელმისაწვდომ) ადგილას - მტკიცებულება</p> <p>საჩივრების ჟურნალის და უკუ-კავშირის და დროული რეაგირების/მოგვარების მტკიცებულება</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (მინიმუმ 2 კვირა)</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელების განმავლობაში</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობის შეწყობის მინიმუმაცია, მათი უზრუნველყოფა შეკითხვების დასმის და უკუ-კავშირის შესაძლებლობით</p> <p>შეკითხვებზე და საჩივრებზე დროული რეაგირების (მოგვარების) უზრუნველყოფა</p>	<p>კონტრაქტორი (მგფ-ს მონიტორინგის ქვეშ)</p> <p>მგფ (ადგილობრივი ხელისუფლების, კონტრაქტორის დახმარებით, საჭიროების შესაბამისად)</p>

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
გაუთვალისწინებელი დაზიანების აღდგენა და (ზარალის) კომპენსაცია	მშენებლობის შედეგად მოსავლის, ნაგებობების, ან სხვა აქტივების დაზიანების შემთხვევაში, მფლობელები მიიღებენ შესაბამის კომპენსაციას, ან მოხდება დაზიანებულის აღდგენა	სამშენებლო ტერიტორია	მგვ დაადასტურებს ზარალის არსებობას და კომპენსაციის/აღდგენის საფუძველს, ზედამხედველის ანგარიშების და მივლინებების ანგარიშების საფუძველზე	ქვე-პროექტის განხორციელების პროცესში	საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და საარსებო საშუალებების გაუმჯობესება, ან როგორც მინიმუმ - პროექტამდე არსებულ დონემდე აღდგენა.	კონტრაქტორი (მგვ-ს და ზედამხედველი კონსულტანტის მონიტორინგის ქვეშ)
საოპერაციო ფაზა						
განათების ინფრასტრუქტურის ტექნიკური მომსახურება	ელ. სადენების და სხვა ელ. აღჭურვილობის კარგი ტექნიკური მდგომარეობა	განათებული ქუჩები	ინსპექტირება	სისტემის ექსპლოატაციის განმავლობაში	ელექტროენერჯის წყაროსთან ადამიანის კონტაქტით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	ყვარლის მუნიციპალიტეტი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
რეაბილიტირებული გზების ტექნიკური მომსახურება	ტექნიკური მომსახურების (მოვლა-პატრონობის) სამუშაოების დაგეგმვა ვარციხის მარნის გზაზე ნაკლებად დატვირთულ საათებში და ტექნიკური მომსახურების არეალის უზრუნველყოფა შესაბამისი ნიშნებით	რეაბილიტირებული გზა და ინფრასტრუქტურა	ინსპექტირება	ტექნიკური მომსახურების სამუშაოები	საგზაო ინციდენტების და გზის მომხმარებელთა შეწყუხების თავიდან აცილება	ყვარლის მუნიციპალიტეტი

დანართი 1

სარეაბილიტაციო გზის არსებული მდგომარეობა



დანართი 2

სარეზერვუარული გზის ორთო-ფოტო

